წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. სამშაბათი, 17 იანვარი, 1917 წ. № 12

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიურ საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან.; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ იანვრისათვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)
კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ქალაქის წყალსადენის კარხნის მოსამსახურენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ—ოსტატის

მიხეილ როსტომის-ძის დივანიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

გამოსვენებენ სამშაბათს, 17 იანვარს, ბინიდან, კიროჩნი ქუჩა, 53, ალექსანდრო-ნევსკის ეკლესიაში, იქიდან წაასვენებენ წმინდა-ნინოს სასაფლაოზე დასასაფლავებლად.

(1—478—1)

დედა ანნა ერისთავის ასული ყიფიანისა, მამა რევაზ როსტომის ძე ყიფიანი, მეუღლე ნინო ქაიხოსროს ასული, შვილები: თინათინი, სოფიო და ლიზა, რძლები თამარ ბაქრაძისა, ქეთევან კნ. ნიჟარაძისა, ელისაბედ ყიფიანისა და თინათინ კრასინსკისა, ძმები ვალერიან და კოლა ყიფიანები და რძალი სოფიო წულუკიძის ასული ყიფიანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, იანვრის 18, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა

გიორგი რევაზის ძის ყიფიანის

სულის მოსახსენებლად წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის 10 საათზე.

(1—479—1)

სიდედრი დარია ნიკოლოზის ასული, სიმამრი ქაიხოსრო ნიკოლოზის ძე, ცოლის და ბარბარე ქაიხოსროს ასული, ცოლის ძმები—ირაკლი, ნიკო და იასე ჯავახიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 18 იანვარს, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა წმ. ნიკოლოზ ს ეკლესიაში ძკარფას და დაუვიწყარ სიძის

გიორგი რევაზის ძის ყიფიანის

სულის მოსახსენებლად.

(1—479—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
სამშაბათს, 17 იანვარს,
სინემატოგრაფი
სიმფონიანი ორკესტრი
სტუმრები საზოგადო წესით. ◆ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
(1—520—1)

გაზეთ „საქართველო“-ზე ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვას. ედილაშვილთან.
ქუთაისში— 1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“,
2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ. რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან,
3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. გელაშვილთან.
ბათუმში — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“, ბ-ნ მგალობლიშვილთან და ექ. მარუაშვილთან.
ხონში — მ. ჰავჰანიძის წიგნის მაღაზიაში.
სამტრედიაში პორფილე ჰეიშვილთან.
ჭიათურაში—გალაქტიონ ქავთარაძესთან.
ბაქოში — ძმათა ბოსტაღანიშვილების ავეჯეულობის მაღაზიაში და ალექს. სიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).
გორში — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.
ზუგდიდში— ბ-ნ პეტრე კეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში).

ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა
16 იანვრიდგან 1917 წ.

ორშაბათს
ოპერეტა
ბილეთები 1 მ. 70 კ-დან 50 კაპ-დე
სამშაბათს
კონცერტი სიმფონიანი ორკესტრისა
მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.
ოთხშაბათს
სინემატოგრაფი

ხუთშაბათს
ქართული წარმოდგენა.
პარასკევს
ოპერეტა
შაბათს
Ш-მე. **სამუსიკო საღამო**
პროფესორ ე. კ. რიადნოვისა.
კვირას
რუსული წარმოდგენა

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. „ 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა „ 8½ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის კონტორა
14 იანვრიდან გადადის ახალ შენობაში, კრილოვის ქუჩაზე,
(რომელიც მიხეილის პროსპექტიდან შეუხვევს მტკვრისაკენ)
სახლი ბერკოვიჩისა, № 10.
(3—517—3)

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზედინსკის ქ. № 4. (ტ.—202—)

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩაკუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
გ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიყბის ქუჩა, № 19.

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
ფონ-ირტელი
მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ფოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, პრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფებს მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

ცისფერი ყანწების საღამო
2 თებერვალს
ბილეთებზედ წინასწარი ჩაწერა შეიძლება ქართულ სარაიეში.
(1—521—1)

საკოლონიზაციო იერიშები

მარჯვე დრო დაუდგა ჯავრის საყრელად, ვისაც ჩვენი ტურფა სამშობლოს ტერიტორიული და ეთნოგრაფიული მთლიანობა სულის სიმშვიდეს ურღვევს. დღემდე საქართველოს სახაზინო მიწა-წყალზედ, მხოლოდ სხვათაშორის ასახლებდნენ სომხებს, ბერძნებს, რუსებს თუ ვიურტემბერგელ გერმანელებს. დღემდე მხოლოდ სხვათა შორის ყიდულობდენ ქართველთა სამკვიდრებელს უცხო ტომის დასაბინავებლად. დღეს კი საქართველოს კოლონიზაციის საკითხი სახელმწიფოს უუსაჭიროეს მოთხოვნილებად არის მიჩნეული და ეჭვს გარეშეა, რომ ამ პროცესის დასაჩქარებლად და გასაღრმავებლად სახელმწიფო არც ახდილ ლონისძიებას დაერიდება და არც ფარულ ზომებს ითაკილებს. თუ დღემდე რუსეთის მთავრობას ბევრი მხარე და კუთხე გააჩნდა, სადაც კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა და ამიტომაც ენერგია ეფანტებოდა, დღეს ასე აღარ გახლავთ. საკოლონიზაციო მომხრეთა რიცხვი რუსეთს შესამჩნევად შეუმცირდა და მთავრობას საშუალება მიეცა თვისი ძალ ღონე შეაცენტროს და მთელი თავისი საკოლონიზაციო არტილერია ერთ მხარეს დაუშინოს.

პოლონეთის და ბალტიის ზღვის ნაპირები რუსეთისთვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ფინლიანდიისაკენ რუსეთი ვერ გაიწევს, დღევანდელი პოლიტიკური ვითარება უცვლელად რომ დარჩეს მაინც. ფინთა ეროვნული თვითშეგნება, კულტურა და ნივთიერი მორჭმულობა რუსეთის საკოლონიზაციო მოძრაობას გზას შეუკრავს, გასაქანს არ მისცემს. მაგრამ ფინლიანდია სხვა დროსაც არ ყოფილა რუსეთის საკოლონიზაციო მისწრაფების სახარბიელო საგანი; ამ გარემოებას თავისი გეოგრაფიული და ეკონომიური მიზეზები აქვს. სულ სხვაა კავკასია.

კავკასიამ რუსეთს იმპერიის ხარისხი მიანიჭა. კავკასიამვე იგი სპარსეთში შეიყვანა და ყინულის ოკეანისაგან გულ-მკერდ გაციებულს ინდოეთის თბილ ოკეანის ტალღათა საამური ქშინვა მოასმენინა და დაუცხრომელი ჟინიც აღუძრა ამ ოკეანეს ნაპირად თვის მაღაზიის აშენებისა! კავკასია, სპარსეთი და ინდოეთის ოკეანე, რუსეთის საიმპერიო პოლიტიკის მამოძრავებელი ღერძი იყო იმ თავითვე. დღეს, როდესაც რუსეთი სხვა განაპირა ქვეყნებიდან უკუნდებულია და იგი პსიხოლოგიურად შეურიგდა კიდეც ამ ქვეყნებზე ხელის აღებასა, იგი ბუნებრივად და გარემოებათა იძულებით თავის სანაზღაუროს კავკასიონის ქედის გადმოღმა დაეძებს და მთელის თავის შემოქმედების ძალღონეს იმას მოახმარს, რომ ამ მხარეში, რაც შეიძლება, მკვიდრად გაიდგას ფესვები, რაც შეიძლება, მაგრად ჩაეკიროს.

ყველამ კარგად უწყის, თუ რაში მდგომარეობს ამ „მკვიდრად ფესვების გადგმის“ ფილოსოფია და თუ რას ნიშნავს იგი პრაქტიკასა და სინამდვილეში. მთავრობას ურყევლად მიაჩნია, რომ განაპირა ქვეყნები, საიდანაც უნდა მოხდეს რუსეთის სახელმწიფოში მტრის პირველი შემოსევა, დასახლებულია არა რუსებით, არამედ უცხო ტომით. თვის პოლიტიკის წარმოებისა და განალდების საქმეში მთავრობა არ ენდობა უცხო ტომს და მასზედ დაყრდნობა შეუძლებლად მიაჩნია. აქედან წარმოსდგება მისი დაუცხრომელი მეცადინეობა დაარღვიოს და დაგლიჯოს განაპირა ქვეყნების ეთნოგრაფიული მთლიანობა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის ჩაასახლოს საგანგებოდ ჩამოყვანილი რუსები. მთელს კავკასიაში ტერიტორიულად ყველაზედ უფრო შემოკრებილი, ხოლო ეთნოგრაფიულად ყველაზედ უფრო ერთფეროვანი საქართველო იყო და არის. მთელს კავკასიაში მხოლოდ საქართველო სცხოვრობდა საუკუნეთა განმავლობაში ნამდვილის სახელმწიფოებრივის ცხოვრებით; მხოლოდ იგია ტრადიციულად შეჩვეული სახელმწიფოებრივ წესიერება-პოლიტიკას და კულტურას. საქართველო კავკასიის ნამდვილი სახელმწიფოებრივი ბირთვია. ასე იყო საქართველოს წარსული ძლიერების დროს, ასე იყო მის პოლიტიკურ მისუსტების დროსაც, ასეა დღესაც. უნაყოფოდ რჩებოდა რუსეთის ყოველი ცდა, უნაყოფო იყო მისი განუწყვეტელი გამოლაშქრებანი კავკასიის დასაპყრობად, ვიდრე საქართველო თვის ნებით რუსეთს არ შეუერთდა და მას კავკასიაში არ შემოუძღვა. როგორც შეუძლებელი იყო კავკასიის დაპყრობა-

დამორჩილება სტრატეგიულ-პოლიტიკურად, ისევე შეუძლებელია კავკასიის ეთნოგრაფიულ სახის აჩიჩნა, მისი ეთნოგრაფიული და კულტურული დაპყრობაც, ვიდრე საქართველო არ აჭრელდება,—ეს ეთნოგრაფიული და ტერიტორიული ციტადელი მთელი კავკასიისა. ამიტომაც 1819 წლიდან დაწყებული დღემდე საკოლონიზაციო იერიშები უმთავრესად საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. ამ საქმეში რუსეთის სახელმწიფოს ინტერესი სომხის ხალხის ინტერესს გადაება და შეეწყო. პოლიტიკა რუსეთის მთავრობისა იყო და ჩანალა კიდევ სომხის ხალხისა. თავის სამკვიდრებელიდან წამოშლილი სომხის ხალხი რუსის მთავრობის დასაბინავებელი გახდა. მძაფრად და ინტენსიურად ეს პოლიტიკა ომების ხანასა და მათ შემდგომ პირველ წლებში მუშაობდა. ასე იყო მაგ. 1826—1828 წლებში, როდესაც საქართველოს სამ მაზრას, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს ათიათასობით სომეხი მოაწყდა. ასე იყო ყირიმის ომის შემგომ. ასე იყო რუს-ოსმალთა 1877—18 8 წწ. ომის დროს. ამ დროიდან მოკიდებული სომეხთა ტალღა ჩვენი ქვეყნისკენ შეუჩერებლივ მოედინება. ეს ტალღა განსაკუთრებულის ძლიერებით დაიძრა 1893—1894 წელს, ოსმალეთში სომხეთა ჟლეტის დროს. ხოლო ამ მიმდინარე ომის საშინელმა ტრაღედიამ სომხის ხალხი თითქმის სავსებით აჰბარგა თვის ქვეყნიდან და ასი-ათასობით გადმოასხა ამიერ კავკასიასა და საქართველოში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, სხვა განაპირა ქვეყნებში დღეს რუსეთმა მარცხი განიცადა და ამიტომაც მისი საკოლონიზაციო ძლიერებაც ზედმიწევნით და მთელის სისრულით ამ ჩვენს მხარეს ეხეთქება. ამგვარად ეს ორი ფაქტორი, რომლებიც საქართველოს ეთნოგრაფიულ მთლიანობას იმ თავითვე შეთანხმებულად არღვევდა და შლიდა, დღეს განსაკუთრებულის სიმკაცრით, ძალითა და ძლიერებით ასრულებს თავის დანიშნულებას. და ეს ისეთ დროს ხდება, როდესაც ოთხას ათასამდე ქართველი ვაჟკაცი ბრძოლის ველზეა გაკრეფილი და მთელის ქვეყნის ეკონომიური ძლიერება და ეროვნული თავდაცვის შესაძლოება განახევრებული. ამ ასი წლის განმავლობაში საქართველოს ერთხელაც არ დაუდგომია ასეთი სახიფათო მომენტი კოლონიზაციის მხრივ.

შეიძლება ეს იყოს უკანასკნელი აკორდი, უკანასკნელი მოქმედება იმ ტრაღედიისა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიალი მთლიანობის და ეთნოგრაფიული ერთფეროვნების დარღვევა ჰქვიან და რომლის პირველ აქტებს მთელი ასი წელიწადი საქართველოს გულმკერდზედ თამაშობენ მისი მტერ-მოყვარენი. უცხო ტომის აგენტები დღეს გაშმაგებით მოედვენენ საქართველოს და მის მიწა-წყალს იტაცებენ. ბორჩალოს მაზრაში, სოფ. ფოხრალოში 2000 დესეტინა საუკეთესო მამული, არამიანცის მამულის გვერდით, მისმა პატრონმა რუსებს ჩააბარა. ვინ უშლის ხელს, რომ ეს მამული არამიანცმა შემო ღობოს.

აქ დიმიტრი ყიფიანისეული მამული, გორისა და შორაპნის მაზრებში მდებარე, სივრცით 1837 დესეტინა, ვიღაც გენერალმა გურკომ შეიძინა; ამბობენ, გურკოს ზურგს უკან მანთაშევი დგასო.

აქ კიდევ სუმბათოვში 1500 დესეტინა მამულს რკინის გზის გაყოლებაზე რუსები ყიდულობენ.

კავთისხევსა და ახალქალაქის მიდამოებში მანთაშევის აგენტი ინჟინერი ჯანოევი მამულებს ყიდულობს.

შავი ზღვის ნაპირას ვიღაც პრუშჩენკომ 1000 დესეტინა მამული იყიდა თ-დ. ალ. შარვაშიძისაგან.

რა მტკიცება უნდა იმას, რომ ყველა ეს მამული საკოლონიზაციო ფონდში გადადის, რომელიც ან სომხების ჩამოსახლებას მოხმარდება ან რუსებისას. მზადდება საქართველოს ახალი და საშინელი სინამდვილე, რომელიც შეუძლებლად გახდის ჩვენს ეროვნულ-პოლიტიკურ თვითაღდგომას. ციტადელი-საქართველო ინგრევა. მემამულე თავადები სინიდისის უშფოთველად ხელსუწყობენ თვის ქვეყნის ეთნოგრაფიულ დაშლას. დ ნარჩენი საქართველო გულხელ დაკრეფილი ზის. პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული არავის არაფერს ავალებს. სხვები ჩვენს ქვეყანაში თავიანთ სამშობლოს ჰქმნიან და ჩვენ კიდევ ამის წინააღმდეგ არაფერს ვღონობთ. ყოველის მხრიდან იერიშით მოდიან და ჩვენში საკონტრიერიშოდ არავინ ემზადება. რა ბედი გადაურჩება ამ შავბნელ დროს, ან რომელი ციტადელი?!.

ძველი ქართველი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

14 იანვრის ოფიციალ დეპეშის გადმოცემით გერმანელები ზარბაზნებს უშენდნენ შმარდენის ჩრდილოეთით, ტირულის ჭაობების ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში. უკანასკნელ ოფიციალ დეპეშაში ნათქვამია, რომ მოპირდაპირე მთელი ხაზით, რომელიც წყება სოფ. კალნცემიდან და მიდის შარაგზის პირით შლოკამდე, ზარბაზნების მედგრათ დაშენის შემდეგ იერიშით წამოვიდაო. შლოკი შმარდენიდან აღმოსავლეთით 8—10 ვერსის მანძილზე მდებარეობს. თუ დღეს ბრძოლის პირი აქაა გადმოტანილი, ცხადია, რუსის ჯარის მარჯვენა წვერს უკან დაუხევია.

შმარდენით შლოკამდე ტუკუმიდან რკინის გზა მიდის; გერმანელებს საშუალება აქვთ ამ მიმართულებაზე უფრო გაბედულად იმოქმედონ. საზოგადოდ ბრძოლა ამ მიდამოში ჩვეულებრივ ხასიათით სწარმოებს. აქტიობას ორივე მოპირდაპირე ერთნაირათ იჩენს. რუსეთის შეტევას თან მოსდევს გერმანელთა საპასუხო იერიში. აგრევე აწარმოებს კონტრ-იერიშებს რუსეთის სამხედრო შტაბი. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ალაგ-ალაგ სწარმოებს მცირე შეტაკებანი.

რუმინეთის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია კიმპოლუნგის მიმართულებით რუსეთის ჯარს გაურღვევია ავსტრიელთა ბრძოლის ხაზი. რაოდენობა ტყვეებისა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

X.

ომის დეპეშები

14 იანვარი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის დასავლეთით, ტირულის ჭაობების და მდ. აას შუა, მოპირდაპირეს შეუტიეთ, ხელთ ვიგდეთ ტყვეები და 2 ტყვიისმფრქვეველი; მაგრამ გერმანელების შემოტევის გამო ისევ ჩვენს სანგრებს დავუბრუნდით. მდ. აას მარჯვენა ნაპირას ცხარე ბრძოლის შემდეგ ერთ ვერსნახევარზე წინ წავიწიეთ, თუმცა მტრის იერიშების გამო უკანვე გამოვბრუნდით. გენერალი ივაშკევიჩი დაიჭრა. მდ. ბერეზინის შესართავს მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა ხელთ იგდეს 23 ტყვე, მტრის მფრინავებმა რიძვილოვის სადგურს ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ ზიანი არ მიუყენებიათ.

რუმინეთის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

15 იანვარი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კალნცემიდან შლოკისაკენ მიმავალ გზის აღმოსავლეთით, რიგის დასავლეთით, ძლიერი სროლის შემდეგ, გერმანელები იერიშით მოვიდნენ ჩვენს სანგრებზე, მაგრამ დაზარალებულნი უკუვაგდეთ, მიტავას მიდამოებში მოშხამული გაზით გავუმასპინძლდით მოპირდაპირეს.

რუმინეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

16 იანვარი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კალნცემიდან შლოკისაკენ მიმავალ გზის ორსავე მხარეს რიგის დასავლეთით, გერმანელებმა, ზარბაზნის დაშენის შემდეგ, იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ. ორი საათის შემდეგ გერმანელებმა კიდევ მოიტანეს იერიში ს. კალნცემის სამხრეთ-დასავლეთით 6 ვერსზე, მაგრამ სროლა ავუტეხეთ და თხრილებში ჩასაფრდნენ. 12 იანვარს, ტირულის ჭაობისა და მდ. აას შუა, იერიშის დროს ჩვენი ჯარი უეფიცროდ დარჩა, პოლკის მღვდელი მიხეილ დუმაცკი წინ გაუძღვა მოიერიშეებს, მაგრამ ისიც დაიჭრა. 12 იანვარს, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მტრის მცირე რაზმი იერიშით წამოვიდა მდ. შარის დასწვრივ მდებარე სანგრებზე, ბარანოვიჩ-ლუნინეცის რკინის გზის მიდამოებში, მაგრამ სროლით თხრილებშივე მივაბრუნეთ.

14 იანვარს ჩვენი „ფარმან"-ის მფრინავი პრაპ. პლუგინი და მეთვალყურე შტაბს-კაპიტანი კისელევი, დაზვერვის შემდეგ ბრუნდებოდნენ, გზაში გერმანელების გამანადგურებელს შეეხჩნენ და ბრძოლა გაუმართეს. ტყვიისმფრქვეველების სროლის შემდეგ ჩვენს საფრენს ცეცხლი მოედო და მდ. შარის მიდამოებში დაეცა, ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენი მავთულების ხლართის წინ. პლუგინის და კისელევის გვამები გამოვიტანეთ. იმავე დღეს ალექსანდროვსკის რკინის გზაზე გერმანელების მფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა ნათლისღების დღეს.

6 იანვარს, ნათლისღების დღეს, ლაბუზის მიდამოებში, მდ. შარზე, ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩვენი დივიზიის ერთ კეთილმოწესეს (ბლაღოჩინი) ხოლმოგოროვი მოწინავე სანგრებს ჯვრითა უვლიდა და ჯარს აიაზმას ასხურებდა, სროლა ასტყდა. ხოლმოგოროვი და მისი მედავითნე ჯარისკაცი დაიჭრნენ. მედავითნე იქვე გარდაიცვალა, ხოლმოგოროვიც საღამოთი გარდაიცვალა.

ბროდის სამხრეთით მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სროლით დავაზარალეთ და უკუვაგდეთ. კირლიბაბას ჩრდილოეთით მოპირდაპირის შემოტევა შევაჩერეთ.

რუმინეთის ასპარეზი. ზარბაზნის დაშენის შემდეგ, კიმპოლუნგიდან იაკობენისაკენ მიმავალ გზის ორსავე მხარეს ჩვენმა ჯარმა ცხარე ბრძოლის შემდეგ, მოპირდაპირის გამაგრებული ხაზი სამი ვერსის მანძილზე გაარღვია. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა, რომელიც ჯერ არ აღგვინუსხავს.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

საფრანგეთი.

13 იანვარი

პარიზი. გუშინ ლეიტენანტმა გრიუემერმა გერმანელების საფრენი ჩამოაგდო, შონის სადგურის მიმართულებით. იმავე დღეს ლეიტენანტმა გერტომ პარვილურის მახლობლად მტრის საფრენი ჩამოაგდო. საფრენი დაიმსხვრა.

პარიზი. პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლითაც უცხოეთის გემებს უფლება ენიჭებათ საფრანგეთის ბაირაღით იარონ, თუ კი საფრანგეთის საქმეს ემსახურებიან.

14 იანვარი

პარიზი. საღამოს ოფ. ცნობა. ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა ზემო ელზასში.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში, ფარულ კრებაზე, განიხილეს საკითხი საბერძნეთის მდგომარეობისა.

პარიზი. „304" მაღლობის მიდამოებში მოპირდაპირე ჩვენს თხრილებში შემოიჭრა. ავოკურის ტყესთან მოიერიშე გერმანელები დიდად დავაზარალეთ. ზემო ელზასში ორგან წამოვიდნენ იერიშით, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. გუშინ პორუჩ. გიუემერმა სომას ხაზზე, ლინურთან გერმანელების საფრენი ჩამოაგდო.

15 იანვარი.

პარიზი. დღის ოფიციალი ცნობა. მაასის მარცხენა კიდეზე „304" მაღლობთან მტრის გამაგრებული სანგრები დავანგრიეთ. გერმანელების 5 საფრენი ჩამოვაგდეთ.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. გუშინ მაასის მარცხენა კიდეზე მტერი თავგამოდებით გვიტევდა. ბრძოლაში გერმანელების რამდენიმე პოლკი მონაწილეობდა, ზოგან ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. დილით შევძელით „304" მაღლობთან მტრის მიერ დაჭერილ ადგილების დაბრუნება. მტრის ერთი საფრენი კიდევ ჩამოვაგდეთ.

16 იანვარი.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. მაასის მარცხენა კიდეზე, „304" მაღლობთან ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა.

ინგლისი

13 იანვარი.

ლონდონი. მანჩესტერში შრომის წარმომადგენელთა კონგრესი მოხდა. შრომის პარტიის ბელადმა ჰენდერსონმა 1,540,000 ხმა მიიღო, შარშანდელთან შედარებით 177 ათასი ხმით მეტი. კონგრესის უმრავლესობა მომხრე იყო ომის გაგრძელებისა სრულ გამარჯვებამდე.

14 იანვარი.

ლონდონი ლონდონში მოხდა ინგლის-საფრანგეთ-იტალიის საზღვაო კონფერენცია, რომელმაც ხმელთაშუა ზღვა ზღვაზე სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

15 იანვარი.

ლონდონი. მუშათა კონგრესმა 1,498,000 ხმით, 695,000 ხმის წინააღმდეგ დაადგინა: საერთაშორისო სოციალისტურს ორგანიზაციებს არ მიჰმართონ საზავო პირობების მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. 1,036,000 ხმით, 464,000 ხმის წინააღმდეგ დაადგინეს, ასეთს თათბირზე მოიწვიონ მხოლოდ მოკავშირეთა სოციალისტური ორგანიზაციები.

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზი. იპრის აღმოსავლეთით გერმანელებმა მედგარის იერიშით შეძლეს ჩვენს თხრილებთან მოახლოვება, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა გამოვასწორეთ. გერმანელების 4 საფრენი ჩამოვაგდეთ, 3 იძულებულივყავით დაშვებულიყო. ჩვენ 3 საფრენი დაგვეკლდა.

ქურნალ-გაზეთებიდან

რუსეთი

კარპატებში

„რ. ს." თანამშრომელი ასე აგვიწერს ტყიან კარპატებში რუსის ჯარის მდგომარეობას [illegible] მეომრებს დიდი გასაჭირი [illegible] და ყინულიან სალ კლდეებში, რომლის სიმაღლეც კაროსმეზოს მიდამოებში 2200 ადლს უდრის. აქ ისეთი საშინელი ქარი ჰქრის, რომ ხშირად სადარაჯოზე მდგომი ჯარისკაცი უფსკრულში ჩაუღუპია. ამ ყინვა-ყიამათში მეომრებს ძირს ღრმა ხეობაში უხდებათ ბობღვა ჩხიმალ ძეძვის ამოსატანად, ხშირად მტრის ცხარე სროლის დროს. აქ მიწური თხრილების გაკეთებაც ყოვლად შეუძლებელია, უგზოობა სურსათ-სანოვაგის მიტანას შეუძლებელად ჰხდის. ცხადია მოპირდაპირეც ამ დღეშია. ტყვეების სიტყვით, ბუდაპესტსა და ლვოვში ასობით მიჰყავთ თურმე, ყინვისაგან გათოშილი მეომრები.

გერმანეთი

ადმირალი კესტერი

შარშან მკათათვის 17 გერმანეთის საზღვაო კავშირს საგანგებო კრება ჰქონდა, რომელზედაც ადმირალმა კესტერმა მოხსენება წაიკითხა წყალქვეშა ბრძოლის მნიშვნელობაზე. ამ კრების დადგენილებანი დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. ეხლა სახალხოდ ბერლინში გაზ. „კრეიზზეიტუნგ"-ს მოჰყავს ამ კრების დადგენილებანი, რომელიც იმპერიის კანცლერს და ფედერალურ საბჭოსაც მოსწონებია და დაუდასტურებიათ. ადმირალი კესტერი მოხსენებაში ეხება ანტვერპენის მნიშვნელობას გერმანეთისათვის და ამბობს: ინგლისს განზრახული ჰქონდა ბელგიის ნეიტრალობა დაერღვია და გერმანეთს შემოჰსეოდა, მაგრამ გერმანეთის გაბედულობამ ააცილა მას ეს განსაცდელი. მაგრამ რას გვიქადის მომავალი? ომის დასაწყისში ინგლისი მხოლოდ საზღვაო სახელმწიფო იყო და მხოლოდ 150 ათასი მეომრით თუ შეეძლო მოკავშირეებს მოჰხმარებოდა. ომის მერე კი ინგლისს შეუძლიან მილიონიანი ჯარი იყოლიოს, რადგანაც სავალდებულო სამხედრო ბეგარა შემოიღო. თუ ეს მოხდა, მაშინ ბელგიაც საშიში გახდება გერმანეთისათვის, თუ წინანდელ ფარგლებში აღვადგინეთ. ბელგია, საიდუმლო ხელშეკრულობით ინგლისს და საფრანგეთს მიემხრობა; ბელგია მაშინ არა თუ თვითონ, ჰოლანდიასაც კი გადაიპირებს. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ფლანდრიის სანაპიროები გერმანეთის მომავლის გასაღებია. ეს სანაპიროები რომ ჩვენს ხელთ ყოფილიყოს, ინგლისი ვერ გაჰბედავდა საფრანგეთში ჯარის გადმოყვანას. ამისთვის ბელგია სამხედრო და საპოლიტიკო საქმეებში გერმანეთის გავლენას უნდა დაექვემდებაროსო.

ახალი წყალქვეშა ნავები.

გერმანეთში დიდი იმედი აქვთ წყალქვეშა ნავებისა და სწრაფად ამზადებენ 1000 ახალ წყალქვეშას. ეხლა 300 წყალქვეშა დათარეშობს სხვა და სხვა წყლებში. ასამდე ნავი დაღუ-

სოფლის „გაფულიანება",

მისი ჭეშმარიტი ვითარება და სამეურნეო კრიზისი.

საკვირველი ბედი ხვდა სოფელს რუსეთის დღევანდელ პრესაში. იგი გაუგებრობის ბურუსში არის გახვეული. ოფიციალური რუსეთი ციფრების საშუალებით დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „სოფელი გაივსო ფულით", რომ სახელმწიფოს შემნახველ კასებში ჰედვა აღარ არის შესანახად მოტანილ ფულისაგანო. შარშან მარიამობისთვის 15-სათვის მინისტრი ბარკი შენახულ ფულის რაოდენობას მილიარდებით აღნიშნავდა (Управ. дѣл. особ. совѣщанія по продовольственному вопросу), წელს იმავე მინისტრის განცხადებით ერთხელ კიდევ ადასტურებს ასეთს ოპტიმიზმით გამსჭვალულს სურათს. სასოფლო აღწერილობაზე დამყარებული ანგარიში მთავრობისა „გაბედნიერებულ და გაძლიერებულთა" რიცხვში ამიერ კავკასიის სოფლებსაც სთვლის. მთავრობის ასეთს შეხედულებას, ცოტა არ იყოს, კვერს უკრავს ზოგადი მსჯელობა ქალაქელ საზოგადოებისა. ხმები დადის, რომ სოფელში ფუფუნება შესულა, მიუხედავად სიძვირისა გლეხი მისთვის სულ ახალს და არა საჭირო საგნებს ეტანებაო. საპირფარეშო მოკაზმულობასაც კი გზა გაუკვლევია სოფლისაკენ. ხალხი ამგვარად „გაფულიანებულა". მეორე მხრივ, იმავე სოფლიდამ მეურნეობის დაცემის, ოჯახის განადგურების, კერის გაცივების, შიმშილის და ავადმყოფობის შესაზარი ამბები მოდის. ცოტა არ იყოს, ასეთი მოვლენა დიდს ეჭვს უბადავს ადამიანს პირველთა „იმედიანობის" შესახებ. რუსული პრესა სავსეა ასეთი შინაარსის წერილებით. სრულიადაც არ იზიარებენ არც მთავრობის ოპტიმიზმს, არც საზოგადოებრივს ხმებს. რა ხდება შიდა რუსეთის სოფლებში—დაე, ეს—რუსეთის მოქალაქობრივ შეგნების სინდისზე იყოს; ხოლო რა და რა ხასიათის სიმდიდრეც დატრიალდა ჩვენში, რა შედეგით უქადის იგი ჩვენს მეურნეობას—ეს დამაფიქრებელია ყველასათვის.

უეჭველია, ფული ქართულ სოფელშიაც დატრიალდა. რუსეთის კულტურული და სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობისა გამო არავითარი სახსარი არა გვაქვს აღვნიშნოთ რაოდენობა სოფელში შესულ ფულისა. ხოლო კოოპერატიული დაწესებულებანი, შემნახველი ამხანაგობანი, „გლეხის მოთხოვნილება" და სხვა ამგვარი მოვლენანი მოწმობენ, რომ ეს ფაქტი ყოველსავე ეჭვს გარეშეა, ომმა ფული შეიტანა სოფლად. რუსეთში სოფლის ასეთს „გაფულიანების" უმთავრეს წყაროდ არაყის აკრძალვასა სთვლიან. ამ განკარგულების წყალობით, რუსეთის ხალხს ერთი მილიარდი მანეთი ენახება ჯიბეში. ჩვენში „კაზიონკებს" ადგილი არ ჰქონდათ და ამ მოვლენას ჩვენის ხალხის შემოსავლის დღევანდელ წყაროთ ვერ ჩავსთვლით. პირ იქით, თუ მხედველობაში მივიღებთ სასმელის გაძვირებას ჩვენში და მეორეს მხრივ იმას, რომ ხალხმა თავისი მოთხოვნილება არ შემოაკლა ამ მხრივ, არამედ გააძლიერა, უნდა ვთქვათ, რომ იგი ახალ ხარჯად გაუხდა ხალხს, ნამეტნავად იმ კუთხეებში, საცა ღვინის მოსავალი არ იცის.

არაყი და ლუდი, რომელიც მთაში და „ურწყავში" ღვინის მაგიერობას ეწევა, მოსავლისა და სხვა სახდელი სანოვაგის გაძვირებისა გამო, მეტ ხარჯად აწვება სოფლელის ჯიბეს. წინა წლებთან შედარებით (ომის დაწყებამდე) ამ ხარჯმა უეჭველად იმატა და იმატა იმდენათ, რამდენათაც გაძვირდა საჭირო სანოვაგი და გაიზარდა სოფლის მოთხოვნილება. თუმცა შემცირდა რიცხვი ქორწინებისა, სადაც, ჩვეულებისამებრ დიდძალი სასმელი ისმის, სამაგიეროდ, ჯარში გაცილება, ლოცვა და ხატობა წასულთათვის, ზეიმი დროებით მოსულთა და ან დაბრუნებულთა პატივსაცემლად, ან უბედურთა „სულის აღსნა" მეტს ხარჯს იწვევს წინა წლებთან შედარებით. ისე რომ, თუ ეს მოვლენა რუს გლეხს, მართლა შემოსავლის წყაროდ გაუხდა, ჩვენი სოფლის ბიუჯეტს იგი მძიმე ხარჯად დააწვა.

დანარჩენ შემოსავლის წყაროებიდან პირველი ადგილი უჭირავს სოფლის ნაწარმოების გაძვირებას, მთავრობის დახმარებას, საქონლის რეკვიზიციით შეტანილს ფულს და სხვა სამხედრო საქმესთან დაკავშირებულ მოვლენებს. აი წყარონი სოფლის „გაფულიანებისა". მაგრამ ვნახოთ ეს „გაფულიანება" გამდიდრებას ნიშნავს თუ არა? არ უნდა დავივიწყოთ საერთო და მეტად დიდი მნიშვნელობის მოვლენაც. ფულის სიუხვესთან მათი ნამდვილი ღირებულებაც უნდა გვახსოვდეს. უნდა გვახსოვდეს მანეთის კურსის გაიაფება, ვალიუტის საერთო დაცემა. თუ მივიღებთ ამას მხედველობაში, მაშინ ცხადი იქნება, რომ დღევანდელ სოფლის შემოსავალი თუ ნაკლები არა, მეტი არ იქნება იმ შემოსავალზედ, რომელიც ომის წინათ ჰქონდა მას. ომმა თუ ახალი წყარო მისცა შემოსავლისა, დახარჯვის ახალი გზაც უჩვენა გლეხკაცს. საქმე ის გახლავსთ, რომ, რაზედაც წინად სოფელი მეტს გროშსა ხარჯავდა, დღეს მისი შეძენა და გაუმჯობესება შეუძლებელი ხდება ომის გამო. ის ფული, რომელიც, წინათ სახლის აშენებას, ბინადრობის შეკეთება-გაუმჯობესობას, მეურნეობის აღყვავებას, საწარმოვო იარაღის და საქონლის შეძენას უნდებოდა,—დღეს ამას ვეღარ მოხმარდება, რადგან მათი შეძენა სიძვირისა და უქონლობისა გამო შეუძლებელია.

და მართლაც, ომის დროს არამც თუ ახალი შენობა არ აშენებულა ჩვენს სოფელში; ომის წინათ დაწყებულიც კი დაუმთავრებელი რჩება. გაძვირდა მასალა, არსად გახლავთ მუშა ხელი. შეკეთებაზედაც კი არავინა ჰფიქრობს. მეურნეობის გაუმჯობესობა, მისი ინტენსიურად შეცვლა—ოცნებათაც არავის მოსდის. არამც თუ მანქანის შეძენა შესაძლებელია დღეს, არამედ ძველის შეკეთება, რაიმე გაფუჭებულ ნაწილის შეცვლა უქონლობისა გამო—ამაო სურვილია. რომელისამე მაზრის ცხოვრება ცხადჰყოფს ამ მოვლენას. მაგალითად, გორის მაზრა რომ ავიღოთ—ბოლო წლებში (ომის წინათ) შესამჩნევი ტემპით იწყო სამანქანო მეურნეობის შემოსვლამ. სახნავი, სათეს, სამკალი და სათიბი მანქანებიდამ აქა-იქ სალეწ მანქანების შეძენაც კი დაიწყეს. ომის დროს, როდესაც კერძო ინიციატივას წითელი ჯვარი დაესვა, მთელი ეს საქმიანობა „გორის სამეურნეო საზოგადოებაზე" გადავიდა. მიუხედავათ ასეთ საორგანიზაციო წარმატებისა, როგორ შეჩერდა მანქანათა შეძენა—ამ საზოგადოების მოქმედებიდამ სჩანს, თუმცა ყოველი ღონე იღონა ამ მანქანათა შეძენისათვის. განზრახული და ან დაწყებული სარწყავ არხების გაყვანა, წისქვილების აშენება, რომელთაც დიდი სამეურნეო მომავალი აქვთ და ჩვენის ბედნიერების წინდიც არიან—შეჩერდა. ისეთ, ყელამდის მოყვარულ საქმეზედაც კი, როგორც თორთიზა-გარეჯვარის არხი იყო—იმის დამთავრებაზედაც კი მოამგეთ ომმა ხელი აღებინა, სანამ უკეთესი პირობები არ დამყარდება. შეუძლებელი გახდა შეძენა არამც თუ მანქანი ა, არამედ ისეთ აუცილებელ იარაღის, როგორიცაა ბარი, ცული, თოხი, ცელი ნამგალი და სხვაა. აი სწორედ აქ, სადაც შეიძლება სოფელს „ქონი" მიეკრას, გამდიდრება დაეტყოს, აქ საშინელ დაქვეითებისა და გავერანების სურათსა ვხედავთ და „სიხარბის" გამომწვევი, მართლადაც სოფელში დატრიალებული ასსიგნაციები ვერაფერს ჰმატებენ სოფელს. ჩვეულ ხარჯვის გზას მოკლებული, სოფელი ახალ სარბიელს ეძებს თავის ახალ ქონებისათვის და რაკი რეალ და საჭირო ღირებულებაზე ვერა სცვლის მას, უნებლიეთ „ფუფუნებისა" და შემნახველ კასისაკენ უჩვენებს პირს. „ახალი" სიმდიდრე არამც თუ არაფერსა ჰმატებს სოფლის მეურნეობას, წარმატების გზაზე ვერ აყენებს მას, არამედ ერთ მესახედაც ვერ უნაზღაურებს დახარჯულ ენერგიათ, მუშა ხელის და საქონლის სახით. სოფლის ზრდა და განვითარება შეჩერებულია, მოკლებულია ყოველსავე სახსარს თავის შრომას ნაყოფიერი და აწარმოებითი ხასიათი მისცეს. ვაგლახ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. იგი დღეს მხოლოდ ხარჯავს თავის ნაამაგდარისა და დოვლათისაგან. როდემდის ეყოფა ასეთი „ცხოვრება წარსულით" ჩვენს გაძვალტყავებულ სოფელს,—ძნელი არ არის ამის გამოცნობა. თვალწინ სულ ახლო მომავალში, კრიზისის საშინელი ლანდი იშლება.

ჩვენ არ გვინდა სასოწარკვეთოთ მკითხველი, მაგრამ ჩვენ სიტყვებს, რომ ნამდვილი მნიშვნელობა მივცეთ, საჭიროა მათი განმარტება. ვნახოთ სათითაოთ, რა შემოქმედი ძალები დაჰკარგა ჩვენმა სოფელმა და რითი უნაზღაურებენ ასეთ დანაკლისს?

დავიწყოთ საქონლიდამ. საქონლით ჩვენი ქვეყანა მდიდარი არ იყო, მაგრამ იგი ჩვენს მეურნეობის საფუძველს შეადგენს, ხვნა-თესვის რაიონში იგი აუცილებელი საწარმოვო იარაღია მეურნეობისა, მთაში—საცა საქონლის მოვლა-მოშენებას მისდევენ—თვით საგანია ამ მეურნეობისა.

სხვა და სხვა კუთხეებში მარტო ცხენების მობილიზაცია მოხდა. ის ჯიში, რომელიც საიმპერიო დებულებით თავისუფლდებოდა—როგორც უკეთესი მოსაშენებელი—ჩვენში არ აღმოჩნდა. ნაკლებათ აღმოჩნდა აგრეთვე უვარგისიც, რადგან სიახლოვე ფრონტისა სამხედრო მოთხოვნილების ცხენის ავკარგიანობის წინაშე მეტად ამცირებდა. ისე რომ ცხენი უმოწყალოთ გაიხვეწა და ჩვენი სოფელი ამ სამუშაო ენერგიას სრულიად მოკლებული გახლავთ დღეს. რქიანი მუშა საქონლის რეკვიზიცია მხოლოდ ადგილ-ადგილ მოხდა.

სამაგიეროდ, აქ საბედისწერო მნიშვნელობა სხვა ფაქტორებმა იქონიეს. საკლავის დიდმა მოთხოვნილებამ, ხორცის გაძვირებამ და ხმებმა, რომ, სულ ერთია, საქონელს მთავრობა წაასხავსო, თავისი შედეგი იქონიეს. ხალხმა არამც თუ ზედმეტი, ეგრეთ წოდებული მოცადობა, არამედ მუშა საქონელიც კი გაყიდა. თუშ-ფშავეთიდამ და სხვა საქონლიან რაიონიდამ იყო ცნობები, რომ მთელი ფარები გაყიდულაო. რა მიიღო სამაგიეროდ ჩვენმა სოფელმა? რითი აინაზღაურა ეს დედა-ბოძი თავისის მეურ-

პულა. გერმანელებს იმედი აქვთ: თუ ხმელეთზე არსებული მდგომარეობა შევინარჩუნეთ ზღვაზედაც გამარჯვებულნი გამოვალთო.

კრუპის ქარხნებში

ამ ჟამად კრუპის ქარხნებში 140 ათასი მუშახელია, მათ შორის 15 ათასი დედაკაცია.

1 მკათათვიდან ქარხნების 60 ათასი მამაკაცი ბრძოლის ველზე გაიყვანეს. მათ მაგიერ ჭრილობებისაგან განკურნებული და დედაკაცები ჩააყენეს. ქალები ყუმბარების განყოფილებაში მუშაობენ სახარატო დაზგებზე. ზარბაზნების განყოფილებაში მათ არ ამუშავებენ.

ქარხნებში განუწყვეტელი მუშაობაა დღე და ღამე, კვირა უქმის გაურჩევლად, მხოლოდ ორჯელ იცვლებიან მუშები, 12 საათში ერთხელ. ამ ქარხნებში ტყვეებს სრულებით არ ამუშავებენ. მხოლოდ 30 შვეიცარიელი და 25 ჰოლანდიელი მუშაობს. ყუმბარებს არც კი ჩამოასხმენ ხოლმე, არამედ პრესში ატარებენ. ამგვარად დამზადებული ყუმბარები, თურმე, უმაღლესი ღირსებისაა. 75 მილიმეტრიან ყუმბარას დღეში 3000 ამზადებენ.

ეხლა კრუპის ქარხანა ახალ ზარბაზნებს ამზადებს თურმე 12 სანტიმეტრიანს. მისი დანიშნულება დიდი საიდუმლოებით არის მოცული. ეხლახან დაუმთავრებიათ 7 მძიმე ზარბაზანი, რომლის დამზადებასაც სრული ერთი წელიწადი მოსდომნიან. კრუპის ყველა ქარხნებთან ახალ სამრეწველოებს აშენებენ.

უკანასკნელი ცნობები

ამ დღეებში საჯაროდ გამოცხადდება, რომ შტიურმერი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

ნოვგოროდის თავად-აზნაურთა ფარულ კრებაზე როძიანკომ მოხსენება წაიკითხა და დამსწრეთ გააცნო პეტროგრადის მდგომარეობა. როძიანკოს უთქვამს: პეტროგრადი გულის ფანცქალით მოელის კრიზისის ასე თუ ისე დამთავრებასაო.

დანიის სანაპიროზე გერმანელების აუარებელი წყალქვეშა მოქმედებს. იუტლანდიის ნაპირზე გერმანელების წყალქვეშს ერთი უცნობი გემი დაულუპავს.

შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროს შეთანხმებით, 1915 წლის 18 იანვრის კანონის თანახმად, შემოწმება თეთრბილეთიანებისა, რომელნიც დაბადებულან 1879 წ. 1 ოქტომბერსა და 1888 წ. 30 სექტემბრის შუარიცხვებში მიმდინარე წლის შემოდგომამდე გადაიდო.

კულჩიცკის დაუდასტურებია გრ. იგნატიევის განკარგულება, რომ წელს საშუალო სკოლებსა, სამასწავლებლო ინსტიტუტსა და სემინარიაში გადასახვლელი და ატესტატის მისაღები გამოცდები არ იქნება.

რომის გაზეთ „ტრიბუნაში“ აღნიშნავენ არაჩვეულებრივს და ფანტასტიურ ხმებს, რუსეთის შინაურ მდგომარეობის შესახებ, და მოუწოდებს რუსის მთავრობას, რუსეთის ოფიციალ და კერძო პირთ, რომელნიც საზღვარ გარედ სცხოვრობენ, შეერთდნენ და საერთო ძალით უარჰყონ ეს ხმები, რომელთაც მოწინააღმდეგე თავის სახარგებლოდ იყენებსო.

ლონდონში სამხედრო მასალათა საწყობის აფეთქების დროს დაღუპულა 100, დაჭრილა 300. გავარვარებული ფოლადის ნატეხები იტყორცნებოდა მახლობელ უბნებში, ელეტავდა ხალხს და ცეცხლს აჩენდა. დაინგრა გაზის რეზერვუარი, ელექტრონის სადგური და ცეცხლის ჩამქრობი დეპო. ცეცხლის მქრობელი რაზმი დაიღუპა. რამდენიმე ათეული სახლი ნანგრევებად იქცა. სანიტარების და საპიორებს ნანგრევებიდან გამოჰყავთ ცოცხალ-მკვდარნი და დახოცილნი.

გერმანელები ამზადებენ ათასს წყალქვეშას. ერთის წყების წყალქვეშანი ზიდავენ 18600 ფუთს, ხოლო მეორისანი—34000 ფუთს. იმდენ სურსათის ზიდვა შეუძლიანთ, რომ 18000 ვერსი გაიარონ და არაფერი დასჭირდესთ.

საშინაო საქმეთა მინისტრი 51 მილიონს თხოულობს, რათა 50 გუბერნიაში პოლიცია შესაფერისად გააძლიეროს.

მოსკოვში პურის შოვნა გაძნელდა. ადგილობრივ ქალაქის უფროს ბრძანება გაუცია: ნუ ჰყიდულობთ ერთბაშად ფქვილს გამოსაზოგველად, რადგან ასეთი გარემოება ბაზარზე ფქვილის შოვნას აძნელებსო.

შოთა რუსთაველი. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ნამდვილი თარილი უკვდავ პოეტის გარდაცვალების დღისა. ხვალინდელს № ში ამავ ახლად ნაპოვნ საბუთის შესახებ მოთავსებული იქმნება ვრცელი წერილი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილისა.

უმაღლესი ბრძანებანი

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა:

მიწათმოქმედების მინისტრად სენატორი რიტიხი.

სენატორი ჩაპლინსკი სახელმწიფო წევრი 1917 წლისათვის საბჭოს წევრად დაინიშნა.

გოფმეისტერი სერგ. საზონოვი ინგლისის დესპანად დაინიშნა.

ოდესის ქალაქის უფროსი სანწოვსკი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

ინფანტერიის გენერალი ფროლოვი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ცნობილი მრეწველი აკაკი ხოშტარია სპარსეთის შაჰმა დააჯილდოვა ელმა პირველის ხარისხის ორდენითა და აგრეთვე ლომისა და მზის პირველ ხარისხის ორდენითა მწვანე ლენტზე სატარებლად.

ახალი ამბავი

◆ **თამარ მეფის გარდაცვალება.** ხვალ, იანვრის 18, საქართველოს ეკლესია იგონებს თამარ მეფის გარდაცვალებას.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო 66 მან. ინჟენერ ძნელაძის მიერ ხაშურში შეკრებილი ქართველ მოღვაწეთა პანთეონის სასარგებლოდ; მიიღო აგრეთვე საზოგადოების ალაგირის განყოფილებისაგან 39 მან. 50 კაპ. აგრეთვე ივ. კოლელიშვილის მიერ შეკრებილი კახეთის რკინის გზაზე 177 მან.

დღეს, 17 იანვარს, დანიშნულია საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს საქართველოს რუკის ნიშანკლატურა, ბ-ნ პ. ინგოროყუას მიერ შედგენილი.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ყველიერში „ახალი კლუბი“-ს დარბაზში გამართოს დიდი საღამო, რომლის შემოსავალი მოხმარდება საზოგადოების დაწესებულებებს. საზოგადოების ბათომის განყოფილების წლიური კრება დანიშნულია 29 იანვრისათვის.

◆ **ნინოობა თბილისში.** ნინოობას სიონში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო პირი, ეპისკოპოსი ალავერდისა. ნაწირვებს გამოასვენეს წმ. ნინოს ჯვარი.

— მთავრობისა და კერძო სასწავლებლებში აგრეთვე ქალაქის სკოლებში იუქმეს დღეობა. ქართული საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებანი დაკეტილნი იყვნენ. ქართული გაზეთები, როგორც თბილისისა, ისე პროვინციისა, „თანამედროვე აზრს“ გარდა, კვირას არ გამოსულა.

— ქართველ ქალთა საზოგადოების მიერ „ახალ კლუბში“ ტრადიციული საღამო იყო გამართული თვის ღონისძიებათა გასაძლიერებლად. ხალხი ბლომად დაესწრო.

ქალაქის დაწესებულებანი

◆ **ქალაქის სასკოლო კომისიის** უკანასკნელ კრებას კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა ამავე კომისიის წევრის სტ. ქელაშვილის გარდაცვალების ამბავი და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის, რაიცა შესრულებულ იქმნა. შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ, განსვენებულის პატივის ცემის ნიშნად, 150 მან. მიეცეს დახმარების სახით საქალაქო სამ ქართულ სკოლას (კუკიისა 2 და მთაწმინდისა 1).

სხვა და სხვა ამბები.

◆ **ცეცხლი.** 15 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ქალაქის სახლს № 3 აბანოების ქუჩაზე. ამ შენობის მეორე სართულში მოთავსებული იყო საქალაქო სასურსათო დუქანი. ცეცხლი დაბლა სართულში გაჩნდა. შენობა გადაიბუგა, ხოლო დუქნის საქონელი გადაარჩინეს. ზარალი 7—8 ათას მანეთამდე იქნება.

◆ **ქალაქის საბჭოს** საგანგებო კომისიამ განიხილა ს. ზ. მირზოევის წინადადება. ბ-ნი მირზოევი აცხადებს, რომ ახალი სისტემის ფურნეს ააშენებს, რომელშიაც დღიურად 50 ათასი ფუთი პურის გამოცხობა შეიძლება და ქალაქმა განსაზღვრულის პირობებით ისარგებლოს ამ ფურნითაო. კომისიამ წინადადება საზარალოდ სცნო და არ შეიწყნარა იგი.

◆ **დიმიტრი ყიფიანისეული** მამული გორისა და შორაპნის მაზრებში, სივრცით 1837 დესეტინს სახელმწიფო ბანკმა გენერალ გურკოს 190.000 მან. მიჰყიდა. ამბობენ, გურკოს ზურგს უკან ცნობილი მანთაშევი სდგასო. თვით გურკო კარგა ცნობილია, როგორც მსხვილი კომისიონერი.

◆ **ნ. ტარხნიძის გარდაცვალების** გამო ბაქოდან ივ. ანდრონიკაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „მწარედ დაგვაღონა ნიკოლოზ ტარხნიძის, ამ სამშობლო ხელოვნების ჭეშმარიტ მეგობრის სიკვდილმა“.

სამადლობელ დეპეშა. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფ გრაფ იგნატიევისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც იგი მადლობას უცხადებს ქალაქის საბჭოს თანაგრძნობისათვის. ბ-ნ იგნატიევის დეპეშა პასუხია ქალაქის საბჭოს მიერ გაგზავნილ დეპეშისა.

◆ **კავკასიის ერობა.** პეტროგრადიდან მოსულ ხმების თანახმად, განზრახულია კავკასიაში ერობის შემოღების საქმე სათათბიროსა და საბჭოს გარეშე გადაწყდეს, 87 მუხლის ძალითო.

◆ **ჰანეთის გაჭირვება.** იანვრის 12 ქართულ საქველმოქ. საზოგადოებაში ამავე საზოგ. ბათომის განყოფილების მდივანმა ბ-ნმა კ. კობახიძემ მოხსენება წაიკითხა ჰანების გაჭირვების შესახებ: სჭირიათ ქართული სკოლები, თავშესაფრები, სასურსათო და საექიმო დახმარება, აღდგენა მეურნეობისა და დანგრეულ ოჯახებისა. კრებამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე.

◆ **ხარკოვის უნივერსიტეტის** საფილოლოგიო ფაკულტეტზე კურსი დაამთავრა ჯაბა მეძმარიაშვილმა.

◆ **საქალებო უმაღლეს კურსებზე** ლექციების კითხვა იანვრის 16 განახლდა.

◆ **ნ. ნ. მაკაროვის დაკრძალვა.** 15 იანვარს, სამხედრო ტაძარში წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ, ნ. ნ. მაკაროვის ცხედარი გამოასვენეს დ. კუკიის სასაფლაოზე მიაბარეს. წირვას და გასვენებას დაესწრნენ: პრესის წარმომადგენლები, სათეატრო მოღვაწენი, პატივისმცემელნი და სხ.

◆ **საქალებო საეპარქიო სასწავლებლის** ინსპექტორად, როგორც გავიგეთ, ნიშნავენ ფოთის სავაჟო გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებელს დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეს. დროებით ამ თანამდებობას ასრულებს ბ. სერგი გორგაძე.

ქუთაისი.

აქ არსდება ფარმაცევტების საზოგადოება.

— სიმინდის ფქვილი ბაზარზე ფუთი 4 მანეთად ფასობს.

შროშა (შორაპ. მაზ.).

აქეთკენ დიდი შიმშილობაა. ამის გამო ავადმყოფობა გაჩნდა და მუსრს ავლებს ხალხს.

შეცდომათა გასწორება

ჩვენის გაზეთის ნინოობის ნომერში გრ. ვეშაპელის წერილში დაბეჭდილია: „ლამაზი ქალი ნინო“. უნდა იყოს: ლაზის ქალი ნინო.

ფინეთის პროფესორი მიკკოლა და საქართველო

ჩვენს თანამშრომელს დ. ჩ—ნს, ფინლანდიაში მყოფს, წარსულ თვეს შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა ფინეთის ცნობილ პროფესორს ბ. მიკკოლას. პროფესორი მიკკოლა თურმე ფინეთში ერთად-ერთი კაცია, რომელმაც გვარიანად იცის საქართველოს ვითარება. ფინურ ენციკლოპედიაში საქართველოს შესახებ მისგან მიწოდებული ცნობებია მოყვანილი, მეტად შინაარსიანი და სწორი. პროფესორი მიკკოლა კარგი ნაცნობი ყოფილა აწ განსვენებულ პროფესორ ალ. ხახანაშვილისა. გახარებული ქართველის ნახვით პროფესორს მაშინვე მიუმართავს ჩვენის თანამშრომლისათვის შემდეგის სამის კითხვით: „დღევანდელ ვითარებაში ქართველი ერი რამდენად იჩენს ბიოლოგიურ ცხოველმოქმედობას? რამდენად გაიდგა ფესვები ქართველობაში ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს? ქართველ მოდგმათა შორის რა ნაირად გავრცელდა ქართული ენა და გარდაიქცა თუ არა იგი საერთო ეროვნულ ენად? და როდესაც დ. ჩ—ნისგან ყველა შეკითხვაზე სანუგეშო პასუხი მიიღო, ნასიამოვნებმა და გახარებულმა მიკკოლამ უთხრა: „მომავალი თქვენია, ძმანო ქართველნო! თქვენს დიდებულს წარსულს ვიცნობ და ამიტომ დარწმუნებული ვარ, რასაც გეუბნებით. ეცადეთ უფრო გააღრმავოთ და გააერთიანოთ თქვენი რეალი ეროვნული მოქმედობა. ეცადეთ აჭარა-ლაზისტანი, ეს ძველი მდიდარი და ფრიად მნიშვნელოვანი თქვენი მხარე კვლავ დაუბრუნოთ საქართველოს თუ დიდი მომავალი გსურთ თქვენის ქვეყნისა. გისურვებთ ამ მიზნისათვის მალე მიგეღწევინოსთ ღმერთმა“!—ეს სიტყვები,—გვწერს დ. ჩ—ნი,—პროფესორმა მიკკოლამ ისეთის რწმენით, წრფელის სიყვარულით და სრულის იმედით წარმოთქვა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა და აღფრთოვანებული გამოვეშვიდობეო...

* *

ერთი ხელნაწერი

18 დეკ. 1916 წელს საეკლ. მუზეუმში მოველოდი საეპარქიო კრებაზე მოსულ სამღვდელოებას. სრული 11 საათი იყო, რომ მუზეუმის დარბაზში შემობრძანდა ჩემი სიყრმის ამხანაგი და მეგობარი ცნობილი პალეოგრაფი-ისტორიკოსი მღვდ. პოლიეკტ კარბელაშვილი და მაუწყა—მალე სამღვდელოება გეწვევა იროდიონ ოქროპირიძის მოთავეობითო. მართლაც, ყველანი შეიკრიბნენ. დავიწყეთ მუზეუმის საუნჯეთა სინჯვა. განმარტებას ვაძლევდი ხან მე და ხან მამა პოლიევქტი. ერთ მის განმარტების დროს, მომიახლოვდა კახელი მღვდელი მ. დიმიტრი დეკანოზიშვილი, ის, რომელსაც მუზეუმისათვის რამდენიმე წიგნი კვლავაც გამოუგზავნია, და მითხრა: „თუ ახლად დაბეჭდილ „შაჰნამეს“ მომცემთ, მე გიბოძებთ ტყავზე დაწერილ წიგნს“. დიდის სიამოვნებით-მეთქი. მოსაბლარიდნის ჯიბიდამ ამოიღო და გადმომცა სხვებთან ამ სიტყვით: სინოდიკის წიგნიაო, თან გადმომცა კიდევ ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატი, ვერცხლის ძაფით შვენიერად გამოყვანილი. სამღვდელოება რომ წავიდა, წიგნი ჩავიწერე დავთარში და ირ. ოქროპირიძესთან ერთად შინ დავბრუნდი რადგან არა. მცალოდა, მესამე დღეს შევუდეგ მის შესწავლა-გადმოწერას. აღმოჩნდა შემდეგი.

ეტრატოვანს წიგნში 22 ფურცელია უკანასკნელი ფურცელი [illegible] ის ბოლო ყდის ფიცარზე [illegible], ზემოპირის ყდის [illegible]

წიგნის პირველი გვერდი მთლად შეჰვარტლილა. აქ, ჩემის ფიქრით, უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი კამარა და მის შუაგულს თვით წიგნის სახელი და, იქნებ, წელიწადიც მის დაწყებისა.

გვ. 2 წაბღალულია და ზედ მხედრული წარწერა—მოსახსენებელია გიორგი არაგვის ერისთავისა, მის მეუღლის დარეჯანისა და მათის შვილებისა. ბოლო რვა სტრიქონი გადალეულა და აღარ იკითხება.

გვ. 2. სათაურად ლამაზი სამკაული აქვს, მის ქვემო იწყება ბინეული ტექსტი სათაურით: „მატიანე მოსახსენებელი სულითა“. ორ გვერდზე ღვთისმეტყველების შემდეგ მოხსენებულია (გვ. 5) სული მირიან მეფისა, ნანა დედოფლისა, გორგასლის და დედოფალთ დედოფლების ბალენტუხტ და ელენესი, მეფე დაჩისა, ბაგრატისა, ადარნასესი, დავით აღმაშენებლისა.

აქ სწყდება ბინეული ხელი და სხვა ხელით ჩაწერილია ბაგრატისა, მისი მეუღლის და შვილების სახსენებელი, მერე კიდევ სხვა ხელით შოთა და გილდამი, ნიკოლოზი და სხ.—მე-4 გვერდის ქვემო აშიაზე ნუსხურად: „ანჩელ მთავარ ეპისკოპოზსა და თორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტსა ბარამისძესა უღირსსა იოაკიმს შეუნდვენ ღ-ნ ცოდვანი და მისსა ძმასა ხეფედვალეს შეუნდნეს ღ. ნ. ამინ.“

გვ. 6: მოხსენებულია მეფე ალექსანდრე, დედა მისი ნათია (ნინო), დედოფალი თამარი, მეფე გიორგი, ათაბაგის ასული დედოფალი თამარ, დედოფალთ დედოფალი ნესტარ დარეჯან. ზოგი ამათგან სტრიქონებ შუა ჩაწერილი.

გვ. 7. მოსახსენებელია 8 სული ერისთავების შაბურიძეთა და მერე სხვა და სხვა ხელით ბატონის თეიმურაზისა, თურადელის თუხარისა და მრ. სხვათა.

გვ. 8: 18 პირის (ერისთავების) მოსახსენებელია მხედრულითა და ხუცურით ჩაწერილი.

გვ. 9: სხვა და სხვა ხელით სხვა და სხვა პირნი და ბოლოს უშნო მხედრულით ერისთავი ვამიყ, ცოლით მარიამით, შვილებით და ასულით ნანათი.

გვ. 10: ტექსტისავე ხელით. მონასტრის შემწირველთა შესახებ, ბოლოს მხედრულად წირკნელ მიტროპოლიტი ამბროსი.

გვ: 11: ორი სტრიქ. ბინეულ ტექსტისა, მერე სხვა და სხვა ნუსხურით მოხსენება ბაიონისა, ულუმპიასი, მერე .. შევიყარენით... გავაზ (?) სოფელს...

გვ. 12: მისივე გაგრძელება (7 სტრ.) მერე მშვენიერი მხედრულით: სახსოვარი არაგვის მპყრობელის ვახტანგისა, დაწერ. 1472 წელს.

გვ. 12—13: ნუსხურით. საკმაოდ გადალეულა: შევიყარენით კევი ხეობით... ქორონიკონსა 124 ფებ. 20-სა (=1439 წ.).

გვ. 15: ნუსხურით. მერე მხედრულათ: სული მიდეულაურისა, მის მეუღლისა, ბურდულის მიქიასი, მის მეუღლის ჯარმელიქას, ზაქაძისა. ზაქაძემ შევწირე...

გვ. 16: უშნო მხედრულით: სხვა და სხვა პირთა შეწირულობა.

გვ. 17: ნუსხურით და ბოლოს მხედრულით: მოსახსენებელი ამილახორებისა და სხვათა.

გვ. 18: ნუსხურ-მხედრულით: სხვა და სხვა პირთა მოსახსენებელი.

გვ. 19: მხედრული გაკრული (გაურკვეველია) და ნუსხური. სხვა და სხვა პირთა მოსახსენებელი.

გვ. 20: ნუსხურით და მხედრულით, სახსოვარი ჩახრუხასი, გარეყანიძისა და სხვ. ბოლო აშიაზე სხვა ნუსხურით: „აქა: ერისთავნი: ეწერებოდნენ: იმას: იქით“.

გვ. 21: სხვა და სხვა გვარ უშნო ნუსხურით, 15 სულის მოხსენება.

გვ. 22: უწინდელი წარწერები გადაუწმენდიათ და მერე გაურკვეველ ნუსხურათა, თუ მხედრულათ ჩაუწერიათ სახსენებელი დადიანისა და სხ.

გვ. 23: წაბღალულზე სხვა და სხვა ხელით 10 სულია მოხსენებული, სხვათა შორის, ბარამიძე.

გვ. 24—29: სხვა და სხვა ხელით მრავალ პირთა სახსოვარი.

გვ. 30—31: სხვა და სხვა ხელით, ზოგან გადაწმენდილზე: სახსოვარი გვირგვინოსნის მეფეთ მეფის კოსტანტინესი, დედოფალთ დედოფლის თამარისა, ქვენიფხეველებისა, მაჩაბლებისა და სხვ.

32: სხვა და სხვა ხელით: გიორგი მეფემ სოფელი ქუაბი შემოვწირა ქორონიკონსა 1424.

ნეობისა? ათ თუმნიანებით და ქაღალდებით, ხელებში რო იჭმუჭნება და სოფლის მეურნეობაში კი მხოლოდ იჭვარტლება და რომელიც ვერც მოხნავს, ვერც ფარცხავს, ვერც ლეწავს და ვერც გადაიტანს; ერთი სიტყვით, ვერ შექმნის სოფლის სიმდიდრეს. როდის და რითი შეიძენს ამ აუცილებელს იარაღს ჩვენი მეურნეობა? საჭიროება დღესაც ცხადია. თითის კბენანი უკვე სჩანს. საზღაპრო ფასს იძლევა მეურნე მუშა კამეჩში, ხარში, მაგრამ აღარსად გახლავთ საქონლის დაკლება სხვა მხრივაც დაემჩნევა ჩვენს მეურნეობას და მიწა-წყალს. ჩვენი მეურნეობა სასუქით მხოლოდ პატივსა (საქონლის განავალი) ხმარობდა. ნახირი ფეხით მიწასა რობავდა. ერთიც და მეორეც დააკლდა ჩვენს მამულს და უეჭველია იმოქმედებს მის გამოფიტვაზე.

დასავლეთ ევროპაში თანამედროვე ტეხნიკურ ცოდნით აღჭურვილ მეურნეს, იქნება, იმდენი არ ენაღვლა. ცოცხალ ძალის მაგიერ ორთქლსა და ელექტრონს აამუშავებდა; მაგრამ სულ სხვაა რუსეთში, სადაც ბარიც კი ვერ გვიშოვია წართმეულ მარჩენალ კამეჩის საფასურით. არც ცოცხალ და არც მკვდარ ინვენტარის შეძენის იმედიც კი არსადაა, ახლო მომავალში მაინც. თუ განსაკუთრებითი ზომები არ იქმნა მიღებული, ეს მოვლენა სრულს გავერანებას უქადის ჩვენს მეურნეობას. მეურნეობა, რომელიც დაქირავებულ მუშით სწარმოებდა, უკვე განიცდის ასეთს ბედს. მონახევრეს და მოიჯარადრეს, ყველა ამ მიზეზთა და მუშა ხელის გახვეტის გამო, დღეს მამულის პატრონი ვეღარა შოულობს. უეჭველია, ამ გაჭირებას გაძვირებული ცხოვრება და გადიდებული სახელმწიფო და სხვა გადასახადები საშინლად გააღრმავებენ და დიდი მამულების ლიკვიდაცია უფრო აჩქარებულის ნაბიჯით წავა წინ. დიდი შრომა და განსაკუთრებითი ზომების მიღება ჰმართებს ქართველ საზოგადოებას რომ ასეთ უჟამო დროს, როცა ჩვენს წინ ნაღდად ცაცა და დედა-მიწაც აღმდგარა, ეს მამულები ჩვენის ხალხის ხელშივე დატრიალდეს. აქ ნათლათ სჩანს, რომ ის, რაც ჩვენს სოფელს საქონლის მაგიერად (ფული) მიეცა, არამც თუ არ აუნაზღაურებს დანაკლისს, არამედ სრულიად უმნიშვნელოდ ჩაუარა სამეურნეო კრიზისის წარმოშობაში.

მუშა საქონლის დაკლებას უახლოესი გავლენა ჰქონდა ნახნავ-ნათესის რაოდენობის შემოკლებაზე. თუ 1916 წელს ჩვენი ქვეყანა შეხვდა ნახნავის 1/3 შემოკლებით, უეჭველია, 1917 წ. ჩვენის ნამძრალის ერთი ნახევარი, თუ მეტი არა, ხელუხლებელი რჩება. ეს კი იმ შიმშილის მომასწავებელია, რომლის წინაშე, როგორც ახლო მწარე წარსულიდამ ვიცით, მიღებული ასიგნაციები ვერა გვშველიან და „გაფულიანებული“ სოფელი გლახაკის უმწეო მდგომარეობაშია.

უფრო უახლოესი კავშირი ნახნავის შემოკლებასთან ჩვენს მთავარ უბედურობას, ცოცხალი ძალის წასვლას, მუშა ხელის ლაშქრად გახვეტასა აქვს. სოფელი მთლად დაიცალა შემოქმედ ძალებით. შარშან ერთერთ წერილში ჩვენის სოფლის ცხოვრებიდამ ჩვენ ცნობა მოგვყავდა, რომლის ძალითაც, ნამდვილი საბუთების მიხედვით, ჯარში გაწვეულთა რიცხვი მამაკაცთა—54 პროც.—60 პროცენტს უდრიდა. (მხედველობაში მუშაობის შემძლე მამაკაცნი გვყავდა 16 წლიდამ—65-მდე). იმავე საზოგადოების ცნობებით, დღეს პროცენტმა უკვე 72—75 პროც. აიწია. აი უმთავრესი ჭრილობა, რომლიდანაც ულმერთოდ იწურება სისხლით ჩვენი ეროვნული ორგანიზმი. რას წარმოადგენს ის „პაიკი“ რომელიც ამ ძალის სანაცვლოდ ეძლევა ჩვენ სოფელს? კ—ს (ძველი დანაწილებით) საზოგადოებიდამ წასულიყო 1080 კაცი, დახმარება მიეღოთ 75,600 მანეთი; ანუ კაცის თავზე—70 მანეთი, ანუ ოცდა ხუთის დღის ფასი დღიურ მუშისათვის. ამგვარად, სოფელი თითო წასულს ვაჟკაცზე ჰკარგავდა (ცნობები შარშანდელ იანვარს ეკუთვნის) 340 სამუშაო დღეს წლიურად, თუ ვინმე გაკადნიერდება და დაქირავებულ მუშას თავისუფალ მუშას შეადარებს ნაყოფიერობის მხრივ.

თუ შარშან მხოლოდ მუშის სიძვირეს ვჩიოდით—ფასობდა 2 მანეთიდამ—7-მდე სხვა და სხვა მხარეში სხვა და სხვა დროს, წელს შოვნის სახსარი აღარავითარი სჩანს. აქ ისეთი მომავალი უქადის ჩვენს მეურნეობას, რომ კაცს აზრი აღარ ემორჩილება და მარჯვენა უძუნდება. „იოლად“ წასასვლელათაც კი ვერაფრით ვისარგებლებთ მის მაგიერ. მანქანა არ გახლავთ, ელექტრონის ძალა მით უმეტესი. რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ჯერ კიდევ სახრე გვიჭირავს ხელში—ყველაფერი ეს ჩვენთვის ნაადრევი ხილია! „გამოქცეულნი“ არ გამოდგნენ, არც მოისურვეს მუშაობა, ტყვეები შუაგულ რუსეთში იგზავნებიან და ან რა ანაზღაურება შეუძლიანთ მათ წასულის ძალისა. და აი, თუ შარშან ფულები „მუშა ხელზე“ იხარჯებოდა, წელს სოფელს ამგვარი ხარჯის საშუალება ეკარგება და მოუხმარებელი უფრო ბევრი ფული დარჩება. უეჭველია, იგი „შემნახველ“ კასას და ბაზარს მიაშურებს, წაიღებს იმას, რასაც შეხვდება. აი ასე ინაზღაურებს სოფელი ორ თავის უმთავრეს ძარღვს, უმთავრეს ფაქტორს თავის ცხოვრებისას. დაკარგულს საქონელს და გაცლილ—მუშა ხელს.

თუ ძვირად ჰყიდის იგი თავის ნაწარმოებს (შემცირებულს), სამაგიეროთ ძვირად ყიდულობს საჭირო საგნებს ქალაქიდამ. აქ მას ძნელად თუ რამე დარჩება. „ფულიანობა“ უმთავრესად პირველ ორ წყაროს მიეწერება. აქ კი დღეს სოფელი თავნსა ხარჯავს, საუკუნოებით დაგროვილ დოვლათს ანიავებს. სამაგიეროდ, მიწვდენილი ასიგნაციები ვერაგზით ვერ აუნაზღაურებენ დანაკლისს, პირიქით, აჩვევენ მას ისეთს რასმე, რომელსაც არავითარი შემოქმედი გავლენა არ ექნება მის ცხოვრებაში და აღრმავებენ სამეურნეო კრიზისს. მთავრობის და ზერელე მოაზროვნე კაცის თვალში იგი დღეს „ფულიანია“ და ბედნიერთა რიცხვში ჩაწერილი. რა ხასიათისაა ეს „ფულიანობა“ და რას მოასწავებს იგი—ჩვენთვის აშკარაა. ეს თვალის წამტაცი მირაჟი საშინელის უდაბნოს მომასწავებელია.

დიდი ძალის მოკრება გვმართებს, დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი დარაზმვა, რომ შევძლოთ მის გადავლა.

თუ არ შეიცვალა ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება, ძნელია მომავალზე ფიქრი!

შალ. ქ—ძე.

33—34: სხვა და სხვა ხელით: სახსოვარი ტბელისძისა, ერისთავთა და სხვ.

35—37: სხვა და სხვა პირთა ხსენება·

38: ნუსხურით (გადალეულ): კათალიკოზი ევდემოზ გერგეტელთა მიმართ ქკნსა 1734 წელს.

39: მხედრულად: ერეკლე, დარეჯან, კათალიკოზი და ბატონიშვილი გიორგი აღიარებენ, რომ სოფ. ქვაბი ეკუთვნოდათ გერგეტის წმ. სამების ეკლესიას. ქკნი 1765 წ.

40: გადაფხეკილზე მხედრულად: ვახტან VI ის ჩაწერილობა.

41: გადაფხეკილზე უშნო ყვირილით: მოხსენება სახლთ ხუცესისა, ვახტანგისა, რუსუდანისა, ბაქრაძისა. ბოლოს ოთხ სტრიქონზე სითხე გადვლებულია და ძველი ნაწერი აღარა ჩანს სრულიად.

გვ. 42: თავში ოთხი სტრიქონი გადალეულა. აგრეთვე ბოლოშიაც 2—3 სტრიქონი. შუაგულში უშნო ასომთავრულით, რომელიც მერმენდელ ავქსონს გაუცხოველებია თუ გადმოუწერია:

„ქ. თამარ მეფე გარდაიცვალა ქ-კნსა ჳლგ (1213) იანვარსა იჱ: პარასკევსა.

იქ. მესხი ჰიაბრიძე მგლიანი შოთა რუსთაველი წარვიდა იერუსალემს და მონ გარდაიცვალა ქორონიკონსა ჳლთ (1219 წ.) მაისსა ა-სა, ღღესა ოთხშაბათსა (თუ ხუთშაბათს?)—შეუნდვენ ღ-ნ.

„ოდეს (?) ესე დაიწერა ქ-კნი იყო ჳმა (1221 წ.): შეუნდვენ ღ ნ მიქელს“.

43—44: ასომთავრულით. აღმოჩნდა დაბადების ტექსტი. ტექსტი. ძნელად იკითხება გადალეულობის გამო.

ჩვენ უსაზღვროდ გაგვახარა ამ საუნჯის გაცნობამ, და მე-42 კაბადონის ტექსტი რომ გამოვარკვიეთ, გვეგონა, თვით რაიმე ძველის წიგნის ბოლოს წავაწყდითო. მით უმეტეს, რომ ეს ფურცელი ზომით სხვა ფურცლებზე მოკლე აღმოჩნდა. მაგრამ მერე დაწვრილებით დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ძველი ტექსტი ვიღაცას გაუცხოველებია და, ეგების, ძველის წიგნიდამ ამ მატიანეში გადმოუწერია. ყოველ შემთხვევაში, როგორც ეს ტექსტი, ისე მთელი წიგნიცა, მოითხოვს გულდასმით შესწავლას, მით უმეტეს, რომ ამ თუ ამისთანა მატიანიდამ ისტორიკოს ჟორდანიასაც აქვს დაბეჭდილი ზოგიერთი ადგილი, თუმცა, ხშირად, შემოკლებით.

დასასრულ, უნდა ვთქვათ, რომ ამგვარ სულთა მატიანეებს თითქმის ოფიციალი ხასიათი ჰქონდათ. სამწუხაროდ, სულთა მატიანეების კითხვა ჯერ არ არის შესწავლილი; როგორც მახსოვს, მარტო პატივც. აკად. ნ. მარრმა დაბეჭდა წმ. ქვაყნიდამ მოტანილი სახსენებელი და ზოგიც ხომ ათონის კრებულისთვისაა ბოლოში დართული.

პირად ჩვენთვის, თარიღიან მინაწერს, რა ღირსებისაც უნდა იყოს იგი თვის აწინდელ მდგომარეობის გამო, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დასამკიცებლად შოთას ცხოვრების ეპოქისა. ვფიქრობთ, თუ სხვა საბუთები არ არის, რომელიმე მინაწერი, ნაწვალების წიგნისა, თუნდაც იგი იყოს თარიღიანი, მაინც არა კმარა ამ კითხვის გადასაწყვეტად—როდის ცხოვრობდა რუსთაველი? ჩვენ სხვა აზრისა ვართ და ხვალ მოვილაპარაკებთ.

მ. ჯანაშვილი.

ჭანეთის გასაჭირი

ამ ომმა ქრისტიანი ქართველები ძალიან დაგვიახლოვა თანამოძმე ჭანებთან. ჭანეთი შავი ზღვის პირად სამაჰმადიანო საქართველოს საუკეთესო კუთხეთაგანია როგორც ბუნებით, ისე მდებარეობით. მოსავალი კარგი იცის. სთესვენ უმეტეს ნაწილად ღომს და სიმინდსა, ალაგ ალაგ პურიც მოჰყავსთ. რადგან ჭანეთი ზღვის პირად მდებარეობს, მკვიდრნი მეზღვაურობასა და ვაჭრობას ეტანებიან. ომამდე აქედან გაჰქონდათ ხეხილი, უმეტეს ნაწილად ფორთოხალი, ლიმონი და სხვა. ყოველსავე ამას რუსეთის ბაზარზე ასაღებდნენ. ჭანები მეგრულად ლაპარაკობენ, ქართულიც იციან. დღეს მთელი ჭანეთი აოხრებულია და მხოლოდ ნანგრევებს, ღა წარმოადგენს. დიდ გაჭირვებაში არიან ჭანელები, განსაკუთრებით ისინი, რომელნიც ძველ ოსმალეთის ჭანეთში სახლობენ. მათ არაფერი გააჩნიათ, შიმშილი მეტად აწუხებსთ და შველას ქრისტიან ქართველებისაგან მოელიან. სურვილი აქვთ ჰქონდესთ ქართული სკოლები, სურთ შეისწავლონ სამშობლო ენა და, რასაკვირველია, ამასთანავე მატერიალურ დახმარებასაც ელიან ჩვენგან.

საჭიროა ჩვენმა ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მათ და იხსნას იმ უბედურებისაგან, დღეს მათ კარზე რომ სდგია. საჭიროა აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოებამ დაარსოს აქეთკენ ქართული სკოლები. სასურველია აგრეთვე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გამოეგზავნა ერთი წევრთაგანი ამ კუთხის შესასწავლათ და ძველ ნაშთების მოსაგროვებლათ.

დროა, მივხედოთ ჭანელებს, ყოველივე მათი გაჭირვება თუ დაღხინება შევისწავლოთ, გავუწიოთ დახმარება და ისინიც მადლობას გვიტყვიან და უფრო მჭიდროთ დაგვიკავშირდებიან.

ალექსანდრე ვ გორგაძე.

სრულიად რუსეთის საერობო კავშირის—ურმიის განყოფილება და მისი მნიშვნელობა

ვინ არ იცის, რომ ომისათვის მარტო ცოცხალი ძალა და გულადობა არ არის საკმარისი. თუ მას ხელს არ უწყობს ტეხნიკური პირობები, რეგულიარულად არ არის მოწყობილი ჯარების გადაყვან-გადმოყვანა, სურსათ-სანოვაგის, ტყვია-წამლისა და ომისათვის საჭირო საგნების მიწოდება, ყოველ პუნქტში სავადმყოფოების მოწყობა, დაჭრილ-დაავადმყოფებულთათვის სწრაფი დახმარება და კვება, მაშინ ცოცხალი ძალა არარაა და რამდენადაც არ უნდა სჭარბობდეს მოწინააღმდეგეს რიცხვი ჯარისა, მარტო ხიშტებითა და ცარიელ თოფ-ზარბაზნებით ვერას დააკლებს. ამ მიზნით ომის დაწყებისას დაარსდა ორი დიდი დაწესებულება მრავალი განყოფილებით: სრულიად რუსეთის საერობო კავშირი და ქალაქთა კავშირი, რომელნიც ისტორიულ როლსა თამაშობენ საერთაშორისო ომის დროს და კერძოდ რუსეთს დიდ დახმარებას უწევენ. ამ კავშირების შესახებ ცოტა იწერება და ფართე საზოგადოებამ არ იცის, რა ნაყოფი მოაქვთ მათ. მართალია, რუსეთ-იაპონიის ომის დროს მოქმედებდა ერობათა პატარა განყოფილებები, მაგრამ მათი მოქმედება ისე განსაზღვრული და მცირე იყო, რომ დიდი ნაყოფი არ მოუტანია. მაშინ რუსეთს რომ ამგვარი სერიოზული დაწესებულებანი ჰქონოდა, და ჯარს თავის დროს ომისათვის საჭირო საგნები არ დაჰკლებოდა, ისეთი მარცხიც არ დაემართებოდა. ერობათა მესვეურთ მაშინდვე დაებადათ აზრი, ამისთანა დაწესებულებანი რაც შეიძლებოდა გაემრავლებინათ და ფართე ხასიათი მიეცათ. აი, დადგა დრო, მთელი ევროპა ომის საშინელ ქარ-ცეცხლში გახვია, და მათ განახორციელეს თავისი აზრი. პირველად საერობო და ქალაქთა კავშირთ აზრადა ჰქონდათ დაჭრილ-ავადმყოფთა უკეთეს პირობებში მოვლა და საკვები პუნქტების დაარსება. მაგრამ შემდეგ ამით აღარ დაკმაყოფილდნენ, მათი მოქმედება თანდათანობით გადიდდა და მიზნად დაისახეს მთავრობისათვის ყოველნაირად ხელი შეეწყოთ. რასაკვირველია, საჭირო თანხის უმეტეს ნაწილს მთავრობა იღებს, მხოლოდ სათავეში უდგანან არა მთავრობის მოხელენი, არამედ გამოჩენილნი პირნი—საზოგადო მოღვაწენი, მსწავლულნი და სხვ...

კავკასიის საერობო კავშირს ხუთი უმთავრესი განყოფილება აქვს. და მათს შორის—ერთი ურმიის განყოფილებაა. ყოველ განყოფილებასა ჰყავს თითო რწმუნებული, ე. ი. სრულუფლებიანი პირი, ბატონ-პატრონი, რომელიც თავის განყოფილებაში დამოუკიდებლადა მუშაობს და როგორც ესმის, ისე აქვს დაყენებული საქმის წარმოება. მის ხელშია შტატის შემცირება და გადიდება, მოსამსახურეთა მიღება დათხოვნა, ჯამაგირების დანიშვნა და სხვ...

ამ ჟამად მინდა შევჩერდე ურმიის განყოფილებაზე, რომელმაც დიდი მისია შეასრულა და საესებით განახორციელა დასახული მიზანი.

ურმიის განყოფილება, რომლის რწმუნებულად ბ-ნი ი. ჩიჯავაძეა, მოთავსებულია ურმიის ტბის პირად—სოფელ შარიფხანეში და ეს ტბა ანუ პატარა ზღვა, როგორც მას უწოდებენ, რომ არ იყოს, აქაურობა ერთ ფარად არ ელირებოდა, რადგანაც ხრიოკი ადგილია. ვინც სპარსეთს პირველად ჰხედავს, მეთვრამეტე საუკუნეში იგრძნობს თავსა. გული ნაღვლით გევსება, რა გაგონდება დიადი, ამაყი სპარსეთი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მტერსა და ეხლა კი დაუძლურებული, ფეოდალების წყალობით, სულსა ლაფავს და ღღისა თუ ხვალ საქართველოს ბედს უნდა ეზიაროს.

რა თქმა უნდა, ყველაფრით ჩამორჩენილ სპარსეთში არ არის რიგიანი გზები გაყვანილი და ამიტომ ჩვენს ჯარს ოსმალეთის საზღვრებისაკენ 15—20 დღეს უნდებოდა სიარული, როდესაც ურმიის ტბით შეიძლებოდა რამდენსამე საათში გადასვლა. დიდის ხნის ხეტიალით დაღალული ჯარი, ხშირად უსმელ უჭმელი, მიიმართებოდა მთა-გორიან ადგილს, გზაზე ბევრს ცხენები უვარდებოდა, ეხოცებოდა, მრავალი მათგანი ავადა ხდებოდა და ფიზიკურად დაქანცული მორალურადაც იღლებოდა. ამიტომ დაიბადა აზრი გაეკეთებინათ ბარჟები და კატერები ტბაზე სატარებლად. მთავრობამ მიმართა საერობო კავშირს ეს საქმე მოეგვარებინა. ამ უკანასკნელმა კი დაავალა ბ. ი. ჩიჯავაძეს, როგორც სპეციალისტს, რაც შეიძლება ჩქარა განეხორციელებინა ეს აზრი. ამ უკანასკნელმაც ორის თვის განმავლობაში თავი მოუყარა კატერებს, ააგო სასანიტარო და ბარგის საზიდავი ბარჟები, რის შემწეობით სისტემატიურად აწვდის მთავარ ასპარეზს დასვენებულ ჯარს, სურსათ-სანოვაგესა და ომისათვის ყველა საჭირო ხელსაწყობს.

ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს, როდესაც ღამე, წყვდიადით მოცულ უშველებელ ტბაზე, ზედი-ზედ გადაბმულ ბარგით დატვირთულ 3—4 ბარჟას და ზედ შემსხდარ ჯარისკაცებს ქშენით ეწევა სამჯერ მათზე პატარა კატერი.

ორიოდე სიტყვაც უნდა ვთქვათ სასანიტარო ბარჟის შესახებ, რომელიც შედევრია, სიამაყე ურმიის ფლოტისა. ეს ბარჟა ბ. ჩიჯავაძემ სამის თვის განმავლობაში ააგო. საექიმო, სათნოების დათა და სანიტართა პერსონალის გარდა შიგ არის ორი განყოფილება ანუ პალატა 300 ავადმყოფთათვის საწოლი, რბილი ლოგინებითა და საბნეულობით. ბარჟის ზემო სართულში მოთავსებულია ყველა შიგ მოსამსახურეთა ოთახები, სამზარეულო და სადეზინფექციო კამერა. ქვემო სართული კი (ტრიუმი) დათმობილია ავადმყოფთათვის. საწოლ პალატების გარდა არის ჭრილობის შესახვევი ოთახი, აფთიაქი და მშვენიერი დიდი აბანო, ტანტ გასახდელი და ჩასაცმელი ოთახებითურთ.

მიღების უმალ ავადმყოფთ ჰკრეჭენ თავსა, შემდეგ აგზავნიან ტანთ გასახდელ ოთახში. იქ მის საცვლებს იღებენ და ატარებენ სადეზინფექციო კამერაში. ვიდრე ავადმყოფი იბანავებს, სუფთა საცვლები უკვე ტანთჩასაცმელ ოთახში აწყვია. ჩაცმის შემდეგ, თუ საჭიროა, ავადმყოფი შეჰყავთ ჭრილობის შესახვევად და იქიდან კი საერთო პალატაში, სადაც ცხელი საჭმელ-სასმელი ელოდება. ავადმყოფი, გადაჩვეული ამგვარ კომფორტს, სულიერად ისვენებს და ტკივილები უყუჩდება. მოსამსახურენი და დანიც უწყობენ ხელსა და დაჭრილთ არ იციან, ვის როგორ გადაუხადონ მადლობა. ბევრს მათგანს მადლობის გამოცხადების მაგიერ გული უჩუყდება, ცრემლები მოსდის და ბავშვივითა ქვითინებს. არა ერთი და ორი წერილი გამოუგზავნიათ გულწრფელის მადლობისა ამ ბარჟის შემქმნელისათვის...

ნაგონდება ქართული არაკი, საცა ნათქვამია: „ვინც წლით იზრდებოდა—ის საათითაო“. მართლაცა და, სადაც წლობით კეთდებოდა ყველაფერი, ურმიის განყოფილებაში საათობით გაკეთდა და პირველი ადგილი თუ არ უჭირავს სხვა განყოფილებათა შორის, არც თუ მათზე ნაკლებია, და ყველა ეს ბ. ჩიჯავაძის შრომის ნაყოფი და უნარია.

სასურველია, თუ სხვების სახელი იქნება ისტორიაში, იქ ქართველებისათვის მცირე ადგილი არ დაიშურონ. იციოდნენ, რომ არიან ჩვენი მოღვაწენი, რომლებიც არა ჰყვირიან, გაცილებით მეტს აკეთებენ და ცოტას ლაპარაკობენ.

არჩილ ბეგი.

დაბა-სოფლები

ერწო-თიანეთი. ერწო-თიანეთის კუთხე სულ რაღაც 60-70 ვერსით თუ იქნება დაშორებული ქ. თბილისს. ეს კუთხე მეტად მივარდნილია, თითქმის მთლად ჩაკეტილია მთებს შუა, და მხოლოდ ერთი რიგიანი გზა გააჩნია (საფოსტო). ისიც ერთი ან ორი წელიწადია, რაც ბევრით გააკეთებინეს ხალხსა. აქეთკენ მრავლად არიან დასახლებულნი ფშავ-ხევსურნიც. ყველგან და ყველაფერში ბეჩობაა გამეფებული. ცრუმორწმუნეობას და მკითხაობას აქეთ ჯერ კიდევ მაგრად აქვს ფესვები გამდგარი. ყოველ სოფელში 3 ან 2 მკითხავია და მთელი რაზმი ღვთის მონებისა, ნამდვილი სკოლებია გამართული ამ ხელობის შესასწავლად. მქადაგებლებიც მოიპოვებიან: სოფ. სვიმონიანთხევზედ არის ერთი ღვთის-მონა კაცი, რომელიც ქადაგების დროს ხშირად ახსენებს საქართველოს და კავკასიის ბაირაღის გამარჯვებას. ისედაც დაღონებულ ხალხს უარესათ აღონებენ და სასოწარკვეთილებაში აგდებენ. სამკითხაოთ მისულ დედებს ან ცოლებს ჯარში გაწვეულებისას ისეთ თავზარსა სცემენ, რომ ბევრს სიკვდილის პირას აგდებენ: ზოგს ეუბნებიან და აჯერებენ, რომ მათი შვილი ან ქმარი მოკლულია და მათი სული ახსნას ითხოვს, ზოგისას დაჭრილად აცხადებენ. ზოგჯერ ისეთი მაგალითებიც იყო, რომ ცოლი დაურწმუნებიათ, ქმარი მოგიკლეს და ისიც სხვას გაჰყოლია და ჯვარიც დაუწერია, ქმარი კი რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნებულა საღი-სალამათი. მიუხედავად ამისა, მუშტარი, მაინც არ ელევა მათს კარებს, ყოველდღე რამდენიმე შეკაზმული ცხენოსნები უდგიათ, ვინ იცის, საიდგან მოსულები, დამშეული და ამლაგმული არავინ არის.

ამის გარდა, კიდევ უარესი ჭირი მოევლინა სოფელს: როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ზაფხულიდან აქმდისინ აქეთკენაც ძარცვა-გლეჯასა და მკვლელობას საზღვარი არა ჰქონდა, და ხალხი ისე დაშინდა, რომ ვეღარც ტყეში მიდიოდა სამუშაოთ და ვეღარც ქალაქში, რომ სურსათი მოეტანათ. საბედნიეროთ, ადგილობრივ პოლიციის მიერ მიღებულმა ზომებმა მალე ფრთები შეაკვეცეს ავაზაკთ. 2 ყაჩაღი მძარცველი კიდეც დაიჭირეს. თითო-ოროლა მძარცველის გამო ეს ამოდენა მხარე ტანჯვასა და სიცივეს განიცდიდა სოფლების გარეთ, გორებზედ ყარაულობით. ასეთი საყარაულოები სოფ. სვიმონიანთხევზედაც იყო შემოღებული, მაგრამ ადგილობრივის ბოქაულისა და მაზრის უფროს თანაშემწის ბ-ნ ზ. ვაშაძის წყალობით მოხსნილ იქმნა, რითაც დიდი სიკეთე დაედო ხალხსა და გადაარჩინა მოხუცი დარჩენილი ხალხი სიცივისაგან გაყინვას. ხალხის ამორჩეულთაც გადაუწყვეტილი აქვსთ ბ-ნ ნ. ვაშაძის კეთილ განზრახვას ხელი შეუწყონ ავაზაკებთან ბრძოლაში.

ბ. ნ. ვაშაძისავე მეცადინეობით გაიხსნა მომხმარებელი—კოოპერატიული მაღაზია სოფ. თიანეთში, მისივე წყალობით და ბლაღ. გრიგ. სონღულაშვილისა სოფ. სვიმონიანთხევზედ დაარსდა და მოქმედობს მამა სონღულაშვილის ხელმძღვანელობით მომხმარებელი მაღაზია „შუქი“, რომელსაც ახლო მომავალში დიდი ალებ-მიცემობა იქნება, რადგან ეს მხარე მადანია მატყლისა, ერბო-ყველისა და სხვათა. მხოლოდ პურის მოსავალია აქეთ ძალიან ნაკლები, თითქმის ნახევარი მცხოვრები ნაყიდ პურით იკვებება. ამ გაჭირვებულ დროს კი საყიდელიც არსად იშოვება, ხალხი თითქმის შიმშილს განიცდის უფქვილობით. ამ ერთი თვის წინათ, ბ. ნ. ვაშაძემ რამდენიმე ვაგონი საუკეთესო ფქვილი ჩამოატანინა და კოოპერატიულ მაღაზიებს გადასცა გასასყიდათ; მაგრამ ეს ერთი-ორი ვაგონი რას უზამს ამ დამშეულ ზღვა ხალხს. ბ. ნ. ვაშაძე შეგვპირდა, რამდენსამე ვაგონ ფქვილს და შაქარს კიდევ ვიშოვნიო. ზოგნი ეხლავე ეწერებიან კოოპერატიულ მაღაზიებში ფქვილის შესაძენად. ამაზე დიდსა და სამადლო საქმეს კი არას იზამს ბ. ნ ვაშაძე. სხვათა შორის ბ. ნ. ვაშაძეს განუზრახავს სოფ. ნაქალაქრის სკოლაში სახელოსნო გახსნა, სამეურნეო განყოფილებით.

ერწო-თიანეთელი.

—

სოფ. ავჭალა (თბილისის მაზრა). ამ იანვრის თოთხმეტს წ-და ნინოს სახელის აღსანიშნავად ს. ზემო ავჭალის სამრევლო სკოლის მოწაფეებმა კავკასიის ახალშენის მცირეწლოვანთათვის სკოლის დარბაზში გამართეს სალიტერატურო-სავოკალო საღამო. პროგრამა შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან. თვითეულ განყოფილებაში წაკითხულ იქმნა ლექსები რუსულ-ქართულად, იყო საბავშვო სცენები, დადგეს თვითო ცოცხალი სურათი, მომღერალთა გუნდი ბ. კ. ჩარკვიანის მეთაურობით მღეროდა რჩეულ სიმღერებს, ანტრაქტების დროს მუსიკას უკრავდნენ ახალშენის სკოლის მოწაფეები. ბოლოს ბავშვებმა წარმოადგინეს საბავშვო ერთმოქმედებიანი პიესა „პეტრიკა მოიწამლა“. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, ბევრნი იყვნენ ქ. თბილისიდამაც. საღამომ საერთოდ ჩინებულად ჩაიარა. ხალხი მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

დიდის მადლობის ღირსნი არიან საღამოს მომწყობნი: ბ. კ. ჩარკვიანი, რომელიც ქ. თბილისიდან დადის და ასწავლის სიმღერებს, მასწავლებელი ე. წვიმაძის ასული, ქ. ს. რთველიშვილი და ქალთა სემინარიის მოწაფე ა. კანდელაკი.

— აქ ერთი ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. თოთხმეტს იანვარს აღმოაჩინეს ორის დღის დამხრჩვალი სამი გვამი ცოლ-ქმრისა და მათის პატარა შვილისა. ვიღაც თავზეხელაღებულს სამივესთვის თოკები წაეჭირა ყელში, დაეხრჩო და საქათმეში ერთ ორმოში ჩაეფლა. ყველა ჰკვირობს, თუ ვინ და რისთვის ჩაიდინა ეს მხეცური ბოროტმოქმედება, არავის ერჩოდნენ და არც შეძლებულნი იყვნენ, რომ ყაჩაღები დასცემოდნენ გასაცარცვად. პოლიცია შეუდგა ძიებას.

სემინარიელი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. წარსულ წლის „საქართველოს“ 277 ნომერში (ქრისტეშ. 11 მოთავსებული იყო წერილი ლამისყანიდან, ხელმოწერილი „ყოფილ ფხალაძესგან“. ამ წერილში მოთხრობილია, ვითომ, მე, ვანო მაყიშვილმა და ლექსო ქოთოლაშვილმა დავიწყეთ ჩარჩობა-ვაჭრობა სოფელში აკრეფილ ფულით, რომლითაც თ. კოლა ერისთავის მამული უნდა გვეყიდნა; რადგანაც ჯერაობით მამულის დამტკიცება დამთავრებული [illegible] და მასთანვე საადგილ-მამულო [illegible] ვექილს აქვს მინდობილი, რომ ეს ჩვენი საქმე გამოიძიოს, ამის გამო, როდესაც ეს გამოძიება და მამულის დამტკიცება დამთავრდება, მაშინ გავცემთ პასუხს ჩვენს მტერ, მოყვარეს „ყოფილ ფხალაძეს“·

ვანო მაყიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხარიტონ შარაშიძე

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	სად.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სად.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11 15	სად.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.
თფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	სად.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	სად.
ბაქოდან	საფ	№ 8,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	სად.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	სად.
თელავიდან		№ 3,	6 24	სად.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
გ. მ. ფილოციანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—340—17)

1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—9)

„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეინო საქონელი:
ჩულქეულობა, კოლგები, თეთრეულობა, ვიშეგები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.
(101—წ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მიიღება საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითი ხიზილალა, მცირე მარილიანი, ზოგი „მეშონგი“ ხიზილალა. მიიღება საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მცირე ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამგებლის შესახვევი № 4